ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4277867

ნომერი: AR1645445

თარიღი : 20.11.2018

გაცემის თარიღი : 26.11.2018

გაცნობის თარიღი : 30.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა, N 16ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ცერცვაძე პ/ნ 01008007125
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 37 ბ. 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 20 ნოემბრის AR1645445 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.14.008.042) საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია ვალდებულება, შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე (7 კვ.მ ; 2 კვ.მ). აქედან გამომდინარე, თავდაპირველად საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აღნიშნული შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით.
ამასთან, ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების განსახორციელებლად უნდა მომართოს იმ პიროვნებამ რომლებზეც/რომელზეც გაცემულია აღნიშნული დოკუმენტი ან, დამატებით წარმოადგინოთ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ: კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/ების თანხმობა აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების განხორციელების თაობაზე. ან, დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 20 ნოემბრის AR1645445 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.